



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „არმაზი“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „არმაზი“ თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	27/02/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

02/03/2022.

სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6

სადისციპლინო კომისია :

მირიან თავზარაშვილი - სხდომის თავმჯდომარე;

ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე - სადისციპლინო კომისიის წევრები.

თბ „არმაზი“ :

გიორგი სოსელია - კლუბ „არმაზი“-ს დირექტორი;

დავით კვიციანი - მთავარი მწვრთნელი;

ოთარ მინაშვილი - მწვრთნელი;

თბ „ხვამლი“ :

გიორგი მეტრეველი - მთავარი მწვრთნელი;

გიორგი ხელაძე - მწვრთნელი;



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის ნათია პატაშურის საითინგი 27/02/2022
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
3. თბ „არმაზი“-ს წარმომადგენლების გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 02/03/2022;
4. თბ „ხვამლი“-ს წარმომადგენლების გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 02/03/2022;

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 27/02/2022 გაიმართა ჭაბუკთა „ა“ ლიგის XI ტურის მატჩი თბ „არმაზი“-სა და თბ „ხვამლს“ შორის.
2. თამაშის მე-2 ნახევრის 34-ე წუთზე, მას შემდეგ, რაც თბ „ხვამლმა“ ლელო გაიტანა, მოთამაშეებს შორის მოხდა შელაპარაკება, რომელიც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბში ჩაერთვნენ ორივე გუნდის სათადარიგო მოთამაშეები, სათამაშო მოედანზე გადავიდნენ ორივე გუნდის გულშემატკივრებიც. მიუხედავად იმისა, რომ ხელჩართული დაპირისპირება მალევე შეწყდა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მატჩის მსაჯმა ბეჟა აქუბარდიამ მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება. მისი განმარტებით სიტუაცია არ იყო უსაფრთხო და არსებობდა კონფლიქტის განახლების მაღალი ალბათობა.
3. მატჩის მსაჯის განმარტებით, მატჩის მეთვალყურის საითინგის, არსებული ვიდეომასალით და თბ „არმაზი“-სა და თბ „ხვამლი“-ს წარმომადგენლების მოსმენის შემდეგ, დაზუსტებით ვერ დგინდება კონფლიქტის მაპროვოცირებელი მხარე.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით იმსჯელა მომხდარი ინციდენტის შესახებ, გაითვალისწინა მატჩის ოფიციალური პირების მოხსენებები, მატჩში მონაწილე გუნდების წარმომადგენლების განმარტებები, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს 1-ი მუხლით „სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში“ მიიღო შემდეგი



გადაწყვეტილება

1. ბათილად იქნას ცნობილი თამაშის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგრიში;
2. თბ „არმაზს“ ჩაეთალოს წაგება და დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა;
3. თბ „ხვამლს“ ჩაეთალოს წაგება და დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა;
4. თბ „არმაზს“ მიეცეს გაფრთხილება. მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ უფრო მკაცრი დისციპლინარული სანქცია;
5. თბ „ხვამლს“ მიეცეს გაფრთხილება. მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ უფრო მკაცრი დისციპლინარული სანქცია;

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	03/03/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.